# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №88
## 2023 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის „$დ^5$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^6$“ ქვეპუნქტი:

„$დ^6$) TIR პროცედურაზე პირის დაშვებისთვის აუცილებელი პირობების შემოწმება, დაშვების მაძიებლისა და TIR პროცედურაზე დაშვებული პირის შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი, TIR პროცედურაზე დაშვებული პირის კონტროლი;“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი